პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 21 თებერვალი, 1947 წ. № 39 (7823). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

სოციალისტური შეჯიბრების დროშით — საბჭოთა სამშობლოს ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ! „პრავდის" მოწინავე (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები (1-ლი გვერდი).
ლენინგრადის საწარმოთა კოლექტივების მიმართვა საბჭოთა კავშირის მრეწველობის ყველა მუშის, ინჟინრის, ტექნიკოსის, ოსტატისა და მოსამსახურისადმი (მე-2 გვერდი).
ს. ჭელიძე — საგაზაფხულო თესვისათვის უმნიშვნელოვანესი მომზადება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა (მე-2 და მე-3 გვერდი).
საბჭოთა საქართველოს XXVI წლისთავის შესახვედრად (მე-3 გვერდი).
უცხოეთის საბჭოში (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

## სოციალისტური შეჯიბრების დროშით—საბჭოთა სამშობლოს ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ!

1947 წელს სრულდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდაათი წელი — ოცდაათი წელი იმ დღიდან, როცა „ავრორის" ზალპებმა მთელ მსოფლიოს აუწყეს კაცობრიობის ისტორიაში ახალი ხანის—სოციალიზმის ხანის დასაწყისი.

„ხალხთა ისტორია, — აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი,—ბევრ რევოლუციას იცნობს. ისინი ოქტომბრის რევოლუციისაგან იმით განსხვავდებიან, რომ ყველა ისინი ცალმხრივი რევოლუციები იყვნენ. მშრომელთა ექსპლოატაციის ერთ ფორმას სცვლიდა ექსპლოატაციის სხვა ფორმა, მაგრამ თვით ექსპლოატაცია რჩებოდა. ერთი სახის ექსპლოატატორებსა და მჩაგვრელებს სცვლიდნენ სხვა ექსპლოატატორები და მჩაგვრელები, მაგრამ თვით ექსპლოატატორები და მჩაგვრელები რჩებოდნენ. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ დაისახა მიზნად — მოესპო ყოველგვარი ექსპლოატაცია, მოესპო ყველა და ყოველგვარი ექსპლოატატორი და მჩაგვრელი".

კაცობრიობის ისტორიაში პირველად დასახული ეს მიზანი მიღწეულია. ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინისა და სტალინის წინამძღოლობით ჩვენმა ხალხმა ბოლო მოუღო ექსპლოატატორულ კლასებს, ააგო სოციალისტური საზოგადოება, მოკლე დროში ძირფესვიანად გარდაქმნა ჩვენი ქვეყანა და გადააქცია იგი მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ.

სამამულო ომში დიადი გამარჯვების მოპოვების შემდეგ საბჭოთა ხალხი აღფრთოვანებული შეუდგა თავისი მეურნეობის აღდგენასა და შემდგომ განვითარებას. მიუხედავად ომით წარმოშობილი და შარშანდელი გვალვით გაძლიერებული სიძნელეებისა, ხუთწლედის პირველი წლის გეგმა წარმატებით შესრულდა, რამაც კვლავ დამაჯერებლად ცხადჰყო საბჭოთა წყობილების დიადი, უძლეველი ძალა.

ხუთწლედის მეორე წელს სახალხო მეურნეობის წინაშე დგას კიდევ უფრო რთული და პასუხსაგები ამოცანები. წარმოებისა და მშენებლობის ტემპი კიდევ უფრო მაღალი უნდა იყოს.

ეს ამოცანები რომ წარმატებით გადავჭრათ, საჭიროა საბჭოთა ხალხის მთელი ძალების დაძაბვა, ჩვენი მეურნეობის მთელი რესურსების მობილიზაცია, თვითეულ საწარმოში არსებული მთელი შინაგანი რეზერვების გამოყენება. სოციალისტური შეჯიბრება არის ის ნაცადი მეთოდი, რომლითაც საბჭოთა ხალხი სწყვეტს მის წინაშე წამოჭრილ სამეურნეო ამოცანებს, და აი, როცა საბჭოთა ადამიანები, აღზრდილნი ლენინისა და სტალინის დიად იდეებზე, აჩაღებენ ბრძოლას ომისშემდგომი ხუთწლედის მეორე წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ისინი უფრო მაღლა სწევენ სოციალისტური შეჯიბრების დროშას.

დღეს „პრავდა" ბეჭდავს ლენინგრადის საწარმოთა კოლექტივების მიმართვას საბჭოთა კავშირის მრეწველობის ყველა მუშის, ინჟინრის, ტექნიკოსის, ოსტატისა და მოსამსახუროსადმი, რომლითაც მოუწოდებს გააჩაღონ საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდაათი წლისთავის ასანიშნავად.

ოქტომბრის აკვანი — დიდი სამამულო ომის გმირი ქალაქი, ჩვენი სახელოვანი ლენინგრადი ამჯერად გამოდის, როგორც ახალი სტალინური ხუთწლედის მამაცი ავანგარდი, მთელს ჩვენს ქვეყანას მოუწოდებს, საბრძოლო დროშასავით აფრიალებს ომისშემდგომი ხუთწლედის მეორე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების პროგრამას.

მიუხედავად გერმანული ბლოკადით მიყენებული მძიმე ჭრილობებისა, ლენინგრადელებმა, როგორც ჭეშმარიტმა საბჭოთა პატრიოტებმა, ჰპოვეს ძალები, შესაძლებლობანი და რეზერვები იმისათვის, რომ დაეჩქარებინათ თავიანთი სახელოვანი ქალაქის მრეწველობის აღდგენა. ლენინგრადის ქარხნების, ფაბრიკების, ელექტროსადგურების აღდგენის ტემპი უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე გეგმით იყო დასახული. ვადამდე სამი კვირით ადრე ლენინგრადის მრეწველობამ შეასრულა 1946 წლის გეგმა, გაადიდა პროდუქციის გამოშვება 47 პროცენტით 1945 წელთან შედარებით.

მაგრამ საბჭოთა ადამიანების საუკეთესო ტრადიციების ერთგულნი, ლენინგრადელები არ ფიქრობენ მიეცნენ განცხრომას, დასჯერდნენ მიღწეულ წარმატებებს. მთელი ქვეყნის გასაგონად ისინი აცხადებენ:

„ჩვენ ვემყარებით ხუთწლედის პირველი წლის ამ წარმატებებს და სრული შესაძლებლობა გვაქვს ხუთწლიანი გეგმის მეორე წელს კიდევ უფრო გავაძლიეროთ მრეწველობის აღდგენისა და წარმოების გადიდების ტემპები".

ლენინგრადელებმა ასწონ-დასწონეს ყველა შესაძლებლობა, გულდასმით იანგარიშეს რეზერვები და იკისრეს ომისშემდგომი ხუთწლედის მეორე წლის გეგმა შეასრულონ 7 ნოემბრისათვის—დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30-ე წლისთავისათვის. ისინი მოწოდებით მიმართავენ საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს ფართოდ გააჩაღონ საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ამ სახელოვანი თარიღისათვის წლიური საწარმოო გეგმების შესასრულებლად.

ის, რასაც ლენინგრადელები გვთავაზობენ,—დიდი საბჭოთა რევოლუციის ოცდაათი წლისთავის აღნიშვნის საუკეთესო საშუალებაა!

მთელი ხალხის ინტერესებისათვის, სამშობლოს კეთილდღეობისა და აყვავებისათვის ზრუნვით გამსჭვალულია მათი მიმართვის თვითეული სიტყვა. ისინი მოგვიწოდებენ მივცეთ სამშობლოს უფრო ჩქარა და უფრო მეტი ლითონი, ქვანახშირი, ნავთი, მანქანები, დაზგები, ხელსაწყოები, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ფართო მოხმარების საქონელი. ეს კი ნიშნავს — დავაჩქაროთ საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების შემდგომი ზრდა, სწრაფად ავამაღლოთ ყველა მშრომელის კეთილდღეობა, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მათი საარსებო მატერიალური და კულტურული საჭიროებანი.

წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესრულება რეალური საქმეა. ეს დამოკიდებულია ყველა მუშის, ყველა ოსტატის, ინჟინრის, ტექნიკოსის, მოსამსახურის კარგი და დაძაბული მუშაობისაგან, საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების დაჩქარებისაგან, იმის უნარისაგან, რომ თვითეულ საწარმოში გამოვნახოთ წარმოების გადიდების დამატებითი რეზერვები, შევამციროთ დაუმთავრებელი პროდუქცია, მივაღწიოთ თანაბარ და რიტმულ მუშაობას, ფართოდ გავავრცელოთ მოწინავეთა გამოცდილება და ამით ჩამორჩენილები წინ წავწიოთ და მივაღწიოთ საერთო აღმავლობას.

ლენინგრადელთა მიმართვა შეეხება საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს და განსაკუთრებით მეტალურგებს, ქვანახშირისა და ნავთის მუშაკებს, რომელთა მუშაობისაგან უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მთელი სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულება.

დღეს „პრავდა" ბეჭდავს დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობის ორ დოკუმენტს — წერილებს ამხანაგ სტალინისადმი სტალინოს ოლქის მეშახტეებისაგან და კუზნეცკის აუზის მეშახტეებისაგან. მეშახტეები აუწყებენ ამხანაგ სტალინს თავიანთ გადაწყვეტილებას განაახლონ ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის ამ ორი უდიდესი აუზის სოციალისტური შეჯიბრება და უამბობენ მას თავიანთ კონკრეტულ ვალდებულებებზე. ისინი კისრულობენ ვადამდე შეასრულონ 1947 წლის გეგმა და მისცენ ჩვენს ქვეყანას ორივე აუზიდან 600 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი გეგმის გადამეტებით, გაზარდონ გადამწყვეტი მექანიზმის — საჭრელი მანქანის ნაყოფიერება, გაადიდონ მეშახტეთა შრომის ნაყოფიერება, ფართოდ დანერგონ მექანიზაცია, უფრო სწრაფად აღადგინონ და ააშენონ შახტები, შეამცირონ ქვანახშირის თვითღირებულება, ააგონ მეტი ბინები მუშებისათვის, აღზარდონ ახალი კვალიფიციური კადრები.

ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის ამ ორი უდიდესი აუზის ამ ვალდებულებებს დიდი კმაყოფილებით შეხვდება მთელი საბჭოთა ხალხი. ქვანახშირი სახალხო მეურნეობის საფუძველია, პურია მრეწველობისა და ტრანსპორტისათვის. ქვანახშირის მრეწველობა განსაკუთრებით დაზარალდა ომით. საკმარისია გავიხსენოთ ის ბარბაროსული ნგრევა, რაც ჰიტლერელმა დამპყრობლებმა მოახდინეს ჩვენს დონბასში, რომ გავიგოთ, თუ რატომ განიცდის ქვანახშირის მრეწველობა ამჟამად ყველაზე მეტ ომისშემდგომ სიძნელეებს. მაგრამ საბჭოთა ადამიანები არასოდეს არ იღებდნენ გეზს ვიწრო ადგილისაკენ! რაკი სათბობი მრეწველობა ახლა აფერხებს მრეწველობის სხვა დარგების, რკინიგზის ტრანსპორტისა და მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას, მაშასადამე, დასკვნა შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს: უნდა გამოვნახოთ ახალ-ახალი შინაგანი რეზერვები ქვანახშირის მოპოვებისა და მთელი ჩვენი სათბობი მრეწველობის უსწრაფესი აღმავლობისათვის. ხოლო ასეთი რეზერვები რომ არის, ამას უწინარეს ყოვლისა მოწმობს მოწინავე შახტებისა და თვით სათბობი მრეწველობის მოწინავე ადამიანთა მთელი გამოცდილება. სწორედ ამ რეზერვების გამოყენების გზას იძლევა სოციალისტური შეჯიბრების ნაცადი მეთოდი.

პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მხარი უნდა დაუჭირონ და ფართოდ გაავრცელონ ლენინგრადელთა, დონეცისა და კუზნეცკის მეშახტეთა წამოწყება. ბევრი შეუძლია გააკეთოს და კიდევაც უნდა გააკეთოს ჩვენმა პრესამ.

ძირფესვიანად უნდა გაუმჯობესდეს საწარმოების ხელმძღვანელობა და წარმოების დაგეგმვა ჩვენი სამინისტროების მხრივ. გადაჭრით უნდა მოვუღოთ ბოლო შემცირებული გეგმების დაწესების პრაქტიკას, რომლებიც არავის და არაფრისათვის არ რაზმავენ და აიძულებენ ადამიანებს მისჩანჩალებდნენ „ვიწრო ადგილებს" და უკვე მიღწეულ ნორმებს. ჩვენი გეგმები უნდა იყოს ბოლშევიკური, გათვალისწინებული არა საშუალო-არითმეტიკული ნორმებისათვის, არამედ საშუალო-პროგრესული ნორმებისათვის. ისინი გათვალისწინებულ უნდა იქნან მოწინავე მუშებისათვის, ინჟინრებისა და ტექნიკოსებისათვის, რომლებიც გვიჩვენებენ იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა ვცდილობდეთ მთელი სიმძლავრით გამოვიყენოთ მანქანები და მექანიზმები, როგორ უნდა გამოვნახოთ ისინი, გამოვნახოთ შრომის ნაყოფიერების გადიდების ახალ-ახალი წყარო.

დაე სოციალისტურმა შეჯიბრებამ, როგორც გვასწავლის პარტიისა და ხალხის დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი, მრეწველობის თვითეულ დარგში, თვითეულ საწარმოში, თვითეულ საამქროში წამოსწიოს ჩამორჩენილნი და საშუალოდ მომუშავენი მოწინავეთა დონემდე და მთელი ჩვენი მრეწველობა წაიყვანოს საერთო განუხრელი აღმავლობის გზით!

დაე თვითეულმა ქარხანამ, ფაბრიკამ, შახტმა, ნავთის სარეწმა ღირსეულად უპასუხოს ლენინგრადელებს!

უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა—მას მოაქვს ახალი გამარჯვებანი ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის!

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30-ე წლისთავი აღვნიშნოთ ომისშემდგომი ხუთწლედის მეორე წლის გეგმის ვადამდე შესრულებით!

**„პრავდის" 20/II მოწინავე**

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

### საინფორმაციო ცნობა

### ეროვნებათა საბჭოს 1947 წლის 20 თებერვლის სხდომის შესახებ

20 თებერვალს, დღის 2 საათზე, კრემლში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს მესამე სესია.

სხდომის თავმჯდომარე — ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. ვ. კუზნეცოვი** სიტყვას აძლევს სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **ვ. ა. შარიას** მოხსენებისათვის ხუთ საარჩევნო ოლქში გამოკლებულთა ნაცვლად ეროვნებათა საბჭოს ახლად არჩეული დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შედეგების შესახებ.

დეპუტატ **ნ. ა. მასლენიკოვას** წინადადებით ეროვნებათა საბჭო იღებს შემდეგ დადგენილებას:

„მოისმინა რა სამანდატო კომისიის მოხსენება, ეროვნებათა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სამანდატო კომისიის მოხსენება იმის შესახებ, რომ ცნობილ იქნას სწორად რწმუნებანი ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებისა, რომლებიც არჩეული არიან 1947 წლის 9 თებერვალს ლენინგრადის საქალაქო № 3 და კალინინის № 7 საარჩევნო ოლქებში რსფს რესპუბლიკისაგან და 1947 წლის 16 თებერვალს ყიზილ-ასკერის № 254 და კარავანის № 268 საარჩევნო ოლქებში ყირგიზეთის სს რესპუბლიკისაგან, პირველი მაისის № 278 საარჩევნო ოლქში კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკისაგან".

ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. ვ. კუზნეცოვი** აცხადებს, რომ სესიის განსახილველად შემოტანილია შემდეგი საკითხები:

1. სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება.

საკითხი შემოაქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

2. სსრ კავშირის კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

საკითხი შემოაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეულ სარედაქციო კომისიას.

3. ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის დებულების დამტკიცება.

საკითხი შემოაქვს ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიას.

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

საკითხი შემოაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

დეპუტატ **ნ. ე. ავხიმოვიჩის** წინადადებით ეროვნებათა საბჭოს ერთხმად შეაქვს ეს საკითხები სესიის დღის წესრიგში.

ეროვნებათა საბჭო იღებს საკითხების განხილვის შემდეგ წესს: მოხსენება სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოსმენილ იქნას კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე, ხოლო საბიუჯეტო კომისიების თანამოხსენებანი, ბიუჯეტის განხილვა და მისი დამტკიცება მოხდეს პალატებში ცალცალკე; სარედაქციო კომისიის მოხსენება სსრ კავშირის კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ მოსმენილ იქნას კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე, ხოლო სსრ კავშირის კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ მოხსენების განხილვა და კანონის მიღება მოხდეს პალატებში ცალცალკე; საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის დებულების დამტკიცების და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების საკითხების განხილვა მოხდეს პალატებში ცალცალკე.

ამით დაიხურა ეროვნებათა საბჭოს პირველი სხდომა.

### საინფორმაციო ცნობა

### კავშირის საბჭოს 1947 წლის 20 თებერვლის სხდომის შესახებ

20 თებერვალს, დღის 4 საათზე, კრემლში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, გაიხსნა კავშირის საბჭოს მესამე სესია.

სხდომის თავმჯდომარე — კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ა. ჟდანოვი** სიტყვას აძლევს სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **ნ. ს. პატოლიჩევს** მოხსენებისათვის ექვს საარჩევნო ოლქში გამოკლებულთა ნაცვლად კავშირის საბჭოს ახლად არჩეული დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შედეგების შესახებ.

დეპუტატ **პ. ს. ტარასოვის** წინადადებით კავშირის საბჭო იღებს შემდეგ დადგენილებას:

„მოისმინა რა სამანდატო კომისიის მოხსენება კავშირის საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სამანდატო კომისიის მოხსენება იმის შესახებ, რომ ცნობილ იქნას სწორად რწმუნებანი კავშირის საბჭოს დეპუტატებისა, რომლებიც არჩეული არიან 1947 წლის 9 თებერვალს შჩერბაკოვის № 9, ბრიანსკის № 99, ბეჟიცის № 100, სიმფეროპოლის საქალაქო № 186, კიევის კაგანოვიჩის № 427 საარჩევნო ოლქებში და 1947 წლის 16 თებერვალს პიარნუს № 654 საარჩევნო ოლქში".

კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ა. ჟდანოვი** აცხადებს, რომ სესიის განსახილველად შემოტანილია შემდეგი საკითხები:

1. სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება.

საკითხი შემოაქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

2. სსრ კავშირის კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

საკითხი შემოაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეულ სარედაქციო კომისიას.

3. კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის დებულების დამტკიცება.

საკითხი შემოაქვს კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიას.

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

საკითხი შემოაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

დეპუტატ **ზ. ტ. სერდიუკის** წინადადებით კავშირის საბჭოს ერთხმად შეაქვს ეს საკითხები სესიის დღის წესრიგში.

დეპუტატ **ტ. ი. იუსუპოვის** წინადადებით კავშირის საბჭო იღებს საკითხთა განხილვის შემდეგ წესს:

მოხსენება სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოსმენილ იქნას ეროვნებათა საბჭოს და კავშირის საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე, ხოლო საბიუჯეტო კომისიების თანამოხსენებანი, ბიუჯეტის განხილვა და მისი დამტკიცება მოხდეს პალატებში ცალცალკე; სარედაქციო კომისიის მოხსენება სსრ კავშირის კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ მოსმენილ იქნას ეროვნებათა საბჭოს და კავშირის საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე, ხოლო სსრ კავშირის კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ მოხსენების განხილვა და კანონის მიღება მოხდეს პალატებში ცალცალკე; საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის დებულების დამტკიცების და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების საკითხების განხილვა მოხდეს პალატებში ცალცალკე.

ამით დაიხურა კავშირის საბჭოს პირველი სხდომა.

### საინფორმაციო ცნობა

### კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1947 წლის 20 თებერვლის გაერთიანებული სხდომის შესახებ

20 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში შესდგა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. ვ. კუზნეცოვი**.

მოხსენება სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გააკეთა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა **ა. გ. ზვერევმა**.

დეპუტატ ა. გ. ზვერევის მოხსენების შემდეგ კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა დაიხურა.

## „ლუმანიტეს" კროსზე

### საბჭოთა სპორტსმენები პარიზს გაემგზავრნენ

ფრანგულ გაზეთ „ლუმანიტეს" პრიზზე მოწყობილ მომავალ მეათე კროსში მონაწილეობის მისაღებად 19 თებერვალს პარიზს გაემგზავრა საბჭოთა სპორტსმენების დელეგაცია.

„ლუმანიტეს" მეათე კროსი, რომელიც 23 თებერვალს იწყება, მეორე საერთაშორისო ომისშემდგომი შეჯიბრება იქნება ამ გაზეთის პრიზზე. მას აწყობს საფრანგეთის მუშათა სპორტული გიმნასტური ფედერაცია. საბჭოთა სპორტსმენებს გარდა, კროსში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული არიან ევროპის სხვა ქვეყნების კროსმენები.

საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში 20 ცნობილი მძლეოსანი შედის. (საკდესი).

## საკდესი უარჰყოფს

ჩინეთის გაზეთებმა „დაგანბაომ" და „ნანკინვანბაომ" ამ დღეებში გამოაქვეყნეს მუკდენიდან მიღებული ცნობა, თითქოს დალნში ჩავიდა 3 სამხედრო ხომალდი ჩინეთის კომუნისტური ჯარებით და დალნიდან და პორტ-არტურიდან დიდძალი სამარი მასალა იგზავნება ზღვით ჩიფუში ჩინეთის კომპარტიის ჯარებისათვის, რომლებიც შანდუნის პროვინციის სამხრეთ ნაწილში იმყოფებიან.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ აღნიშნული ცნობა თავიდან ბოლომდე მოჭორილია.

### პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

## საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში მორიგი გაწვევის ჩატარებაში პროფორგანიზაციათა მონაწილეობის შესახებ

1947 წლის 1 მარტიდან 1 აპრილამდე ჩატარდება ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობის მორიგი გაწვევა (მობილიზაცია) შრომითი რეზერვების სამინისტროს საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ წინადადება მისცა პროფკავშირულ ორგანიზაციებს განუმარტონ მუშა-მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობისათვის სახელმწიფო შრომითი რეზერვების მომზადებას. საჭიროა გამოიყონ პროფკავშირების წარმომადგენლები საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში ახალგაზრდობის გაწვევის ჩამტარებელ საქალაქო და რაიონულ კომისიებში, მოეწყოს ახალგაზრდობის კულტურული მომსახურება გასაწვევ პუნქტებში, კლუბებსა და საერთო საცხოვრებლებში.

პროფორგანიზაციებმა უნდა შეამოწმონ, მომზადებულია თუ არა საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები ახალგაზრდობის მისაღებად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საერთო საცხოვრებლების, სასწავლო შენობებისა და სასადილოების რემონტის ხარისხსა და მოწყობას.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ დაავალა სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტს დახმარება გაუწიოს ახალგაზრდობას სამედიცინო მომსახურებით, რკინიგზების მუშათა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტს — დანიშნულების ადგილას გასაწვევთა გადასაყვანად სპეციალური მატარებლების დროული მიწოდების უზრუნველყოფით. სამკერვალო მრეწველობის პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა შეამოწმოს, შესრულებულია თუ არა ტანსაცმლის, თეთრეულისა და ლოგინის შეკერვის შეკვეთები. (საკდესი).

## საკავშირო საჭადრაკო პირველობაზე

**ლენინგრადი**, 18 თებერვალი. (საკდესი). დღეს საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატში შესდგა წარსული ათი ტურის დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება.

საყოველთაო ინტერესი გამოიწვია კერესისა და ბოლესლავსკის შეხვედრამ. გათამაშებულ იქნა მეშვიდე ტურში გადადებული პარტია. მოწინააღმდეგეებმა გაითამაშეს ესპანური პარტიის ღია ვარიანტი. ბოლესლავსკი ცდილობდა იერიში მიეტანა, მაგრამ კერესი კარგად იცავდა თავს და 22-ე სვლაზე პარტია ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, კერესს გაუხდა 7,5 ქულა ათში. იგი წინანდებურადვე პირველ ადგილზეა. ბოლესლავსკის აქვს დაუმთავრებელი პარტია ტოლუშთან, მაგრამ გამარჯვების შემთხვევაშიც კი მას მხოლოდ 7 ქულა ექნება.

დღეს ორი გამარჯვება მოიპოვა ლენინგრადელმა გროსმაისტერმა ლევენფიშმა. მან მოუგო გოლდენოვსა და აронინს. ამის შემდეგ ლევენფიშმა თამაშობდა დაუმთავრებელ პარტიას ბონდარევსკისთან. ეს პარტია კვლავ გადაიდო.

ლევენფიშსა და ბონდარევსკის ჯერჯერობით ერთნაირი შედეგები აქვთ. თვითეულ მათგანს აქვს ორი გამარჯვება და ხუთი ყაიმი.

უფიმცევმა მოუგო კანს, რაგოზინმა—თოლუშს, ბონდარევსკიმ — კასპარიანს. გოლდენოვი დანებდა მაკაგონოვს. ალატორცევი და ლილიენტალი გაუთამაშებლად შეთანხმდნენ ყაიმზე.

19 თებერვალს კვლავ მოხდება გადადებული პარტიების გათამაშება. ასეთი პარტიები კიდევ ექვსია. ამ პარტიების შედეგების უქონლობა აძნელებს ადგილების განაწილებას სატურნირო ცხრილზე.

# ღირსეულად შევხვდეთ დიდი ოქტომბრის ოცდამეათე წლისთავს

## ვადამდე—1947 წლის 7 ნოემბრისათვის შევასრულოთ ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წლის გეგმა

### ლენინგრადის საწარმოთა კოლექტივების მიმართვა საბჭოთა კავშირის მრეწველობის ყველა მუშის, ინჟინრის, ტექნიკოსის, ოსტატისა და მოსამსახურისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

წელს ჩვენ ვიდღესასწაულებთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდამეათე წლისთავს. ამ წლების განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ დიდი ისტორიული გზა განვლო. ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინისა და სტალინის წინამძღოლობით საბჭოთა ხალხმა შექმნა მსოფლიოში პირველი მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო, ააგო სოციალისტური საზოგადოება, ძირიანად გარდაქმნა ჩვენი სამშობლო, ჩამორჩენილი ქვეყნიდან იგი გადააქცია მძლავრ ინდუსტრიულ და საკოლმეურნეო სახელმწიფოდ. საბჭოთა ხალხმა დაიცვა თავისუფლება და დამოუკიდებლობა მეორე მსოფლიო ომის სამხედრო განსაცდელის მძიმე ჟამს, სასტიკად დაამარცხა თავისი უბოროტესი მტრები — გერმანელი ფაშისტები და იაპონელი იმპერიალისტები და განამტკიცა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრები. საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიფურჩქნა საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობა. საბჭოთა მუშები, გლეხები, ინტელიგენცია არიან სოციალისტური ცხოვრების ნამდვილი შემოქმედნი, ლენინ-სტალინის იდეებზე აღზრდილი ახალი ადამიანები. სოციალიზმის დიად მონაპოვართა შედეგად ჩვენს ქვეყანაში მიღწეულია სოციალისტური საზოგადოების ყველა მშრომელის სრული მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

ამჟამად საბჭოთა ხალხი აჩაღებს ბრძოლას ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წლის გეგმის წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების მოახლოებულ მნიშვნელოვან ოცდაათი წლისთავს ჩვენ ვხვდებით დიდი შრომითი აღმავლობის ვითარებაში. სოციალისტური მრეწველობის მუშაკებმა ახალი ხუთწლედის პირველ წელს არსებითი წარმატებანი მოიპოვეს გერმანელ დამპყრობთა მიერ დანგრეული საწარმოების აღდგენაში, მნიშვნელოვნად გაადიდეს პროდუქციის გამოშვება, ძირითადად დაამთავრეს ომისშემდგომი გარდაქმნა. ჩვენ ვემყარებით ხუთწლედის პირველი წლის ამ წარმატებებს და სრული შესაძლებლობა გვაქვს ხუთწლიანი გეგმის მეორე წელს კიდევ უფრო გავაძლიეროთ მრეწველობის აღდგენისა და წარმოების გადიდების ტემპები. ამის საწინდარს წარმოადგენს აგრეთვე ჩვენი ფაბრიკებისა და ქარხნების მუშებისა და მოსამსახურეების სულ უფრო ფართოდ გაჩაღებული გრანდიოზული შრომითი აღმავლობა, რომელიც მიმართულია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მიერ მეურნეობისათვის მიყენებული ჭრილობების უსწრაფესი მოშუშებისაკენ, იმ ამოცანების უსწრაფესი შესრულებისაკენ, რომლებიც ამხანაგმა სტალინმა დასახა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის წინაშე.

ჩვენ, ლენინგრადის საწარმოთა მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა, ოსტატებმა და მოსამსახურეებმა ჩვენი წვლილი შევიტანეთ საერთო-სახალხო საქმეში და ვადამდე შევასრულეთ 1946 წლის სახელმწიფო გეგმა.

ლენინის ქალაქის მშრომელები, ქალაქისა, სადაც პირველად აფრიალდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილი დროშა, სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე საბჭოთა სამშობლოს აყვავებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლთა მეწინავე რაზმში მიდიოდნენ. სამამულო ომის პერიოდში ლენინგრადმა გმირი ქალაქის სახელი მოიხვეჭა. ყველამ იცის, თუ რა მძიმე ზარალი მოუვიდა ლენინგრადის მრეწველობას ომისა და მტრის მიერ ლენინგრადის ბლოკადის წლებში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლენინგრადის მშრომელებმა გამონახეს ძალები, შესაძლებლობანი და რეზერვები, რათა სწრაფად წაეწიათ წინ თავისი სახელოვანი ქალაქის მრეწველობის აღდგენის საქმე. ლენინგრადელთა თავდადებული შრომის შედეგად ლენინის ქალაქის ფაბრიკების, ქარხნების, ელექტროსადგურების აღდგენის ტემპები გაცილებით უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე გეგმით იყო დასახული. 1946 წლის გეგმა ლენინგრადის მრეწველობამ ვადამდე სამი კვირით ადრე შეასრულა, ხოლო ბევრმა საწარმომ გეგმის შესრულება ვადამდე ერთი თვით ადრე დაამთავრა. წლიური პროგრამა ლენინგრადის მრეწველობამ 109,3 პროცენტით შეასრულა და 47 პროცენტით მეტი პროდუქცია გამოუშვა ვიდრე 1945 წელს. მწყობრში ჩადგა ათობით აღდგენილი საამქრო, ათასობით ახალი დაზგა, მანქანა და აგრეგატი. ძირითადად აღდგენილია ლენინგრადის მრეწველობის ენერგეტიკული ბაზა. ლენინგრადში ახლა ამუშავებულია ომამდე მომუშავე ყველა საწარმო, და გმირი ქალაქი, რწმენით მიდის წინ წარმოების ომამდელი დონის სრული აღდგენის გზით.

ლენინგრადის მშრომელებმა ამ წარმატებებს იმიტომ მიაღწიეს, რომ მათთვის ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის გეგმის შესრულება წარმოადგენს სისხლხორცეულ და საარსებოდ მნიშვნელოვან საქმეს. ლენინგრადის მრეწველობის აღდგენა გახდა ლენინგრადის მშრომელთა საყოველთაო სახალხო საქმე. ლენინგრადი წარმატებით ღორძინდება როგორც უალრესად მოწინავე, ტექნიკურად საუცხოოდ მოწყობილი და მძლავრი მანქანათმშენებელი მრეწველობის ცენტრი. ამ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ამოცანის შესრულების მსვლელობაში ქალაქ ლენინგრადის მუშათა შორის გაჩაღდა მასობრივი მოძრაობა თავიანთი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ამ მოძრაობის შედეგად ლენინგრადში ფართო გასაქანი ჰპოვა მუშათა საწარმოო სწავლებამ. მხოლოდ 1946 წელს ლენინგრადის ფაბრიკებსა და ქარხნებში მომზადებული და გადამზადებული იყო 150 ათასზე მეტი კვალიფიციური მუშა.

ყოველივე ეს შესაძლებლობას გვაძლევს ამჟამად დავისახოთ ახალი სერიოზული ამოცანები, უფრო სწრაფად გავწიოთ წინ ხუთწლიანი გეგმის შესრულების გზით.

ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მეორე წლის საწარმოო გეგმა ითვალისწინებს სამუშაოთა გაცილებით უფრო მეტ მოცულობას, ვიდრე 1946 წელს იყო შესრულებული. მაგრამ მაინც ჩვენ ვგრძნობთ, რომ მოგვეპოვება ძალა და რეალური შესაძლებლობანი, რათა გადაჭარბებით შევასრულოთ 1947 წლის სახელმწიფო გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ჩვენი საწარმოების კოლექტივებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი, გამოიანგარიშეს რეზერვები და კისრულობენ:

**დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად ომისშემდგომი ხუთწლედის მეორე წლის გეგმა შეასრულონ ვადამდე — 1947 წლის 7 ნოემბრისათვის.**

ამ ვალდებულების განსახორციელებლად ყოველი ჩვენი საწარმოს კოლექტივმა განიხილა და მიიღო კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებენ დასახული ამოცანის მთლიანად შესრულებას, შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, გამოშვებულ ნაკეთობათა ხარისხის ამაღლებას, ტექნოლოგიურ პროცესთა სრულყოფას, წარმოების უახლესი და უფრო ეფექტიანი მეთოდების დანერგვას.

ჩვენ ვკისრულობთ აგრეთვე ვალდებულებას 1947 წელს ავითვისოთ წარმოება და გამოვუშვათ ახალი ტიპების ტურბინები, ტურბოგენერატორები, ჰიდროგენერატორები, სხვადასხვა სიმძლავრის ელექტრომანქანები, ახალი ტიპების გემები, ჰაერსაბერავები, კომპრესორ-ექსჰაუსტერები, მშრალი რთვის სელის კატერები, საკოჭავ-სართავი მანქანები, სართავი მანქანები მაუდის ქსოვილისათვის და სხვა საფეიქრო მანქანები, ახალი სახეების საკაბელო პროდუქცია, უახლესი ტიპების ელექტროვაკუუმური ხელსაწყოები, ახალი რადიონათურები, ახალი სახეების ფართო მოხმარების საქონელი და სხვ.

ჩვენს უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიგვაჩნია აგრეთვე პროგრამის შესრულება მუშებისა და მოსამსახურეებისათვის საცხოვრებელი სახლების აღდგენის, მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის დარგში. საბინაო მშენებლობის პროგრამის შესრულება ისეთივე უთუოდ სავალდებულო უნდა გახდეს, როგორც საწარმოო გეგმის შესრულება. ჩვენ ვემყარებით ამას და ვკისრულობთ მოვალეობას უზრუნველვყოთ საბინაო მშენებლობის გეგმების ვადამდე შესრულება.

საზეიმოდ ვკისრულობთ ამ ვალდებულებებს და მოვუწოდებთ საბჭოთა მრეწველობის ყველა მუშას, ინჟინერს, ტექნიკოსს, ოსტატსა და მოსამსახურეს ფართოდ გავაჩაღოთ სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წლის საწარმოო გეგმების 1947 წლის 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად.

ჩვენი საწარმოების მშრომელებს კარგად ესმით, რომ სტალინური ხუთწლედის მეორე წლის გეგმის ვადამდე შესრულება დამოკიდებულია საბჭოთა კავშირის ყველა მუშის, ოსტატის, ინჟინრისა და ტექნიკოსის კარგს, დაძაბულ მუშაობაზე და უწინარეს ყოვლისა მეტალურგიული, ქვანახშირისა და ნავთის მრეწველობის მუშაობაზე.

ამხანაგებო — მეტალურგიული, ქვანახშირისა და ნავთის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო, ტექნიკოსებო, ოსტატებო და მოსამსახურეებო! განსაკუთრებით მოგმართავთ თქვენ და მოგიწოდებთ ფართოდ გააჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

რამდენადაც უფრო ჩქარა და მეტს მივცემთ ჩვენს ქვეყანას ლითონს, ქვანახშირს, ნავთს, მანქანას, დაზგას, ხელსაწყოს, სასოფლო-სამეურნეო იარაღს, ფართო მოხმარების საქონელს, რამდენადაც მეტ ბინას ავაშენებთ, მით უფრო მალე უზრუნველვყოფთ საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების შემდგომ ზრდას, მით უფრო მალე ავამაღლებთ მშრომელთა კეთილდღეობას და დავაკმაყოფილებთ მათს საარსებო საჭიროებას.

ამხანაგებო! დავრაზმოთ მთელი ჩვენი ძალები, მთელი ჩვენი ინიციატივა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდაათი წლისთავისათვის — მშრომელთა დიადი დღესასწაულისათვის ახალი ხუთწლედის მეორე წლის გეგმის უთუოდ შესასრულებლად! უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდამეათე წლისთავის აღსანიშნავად! ვასახელოთ ჩვენი საბჭოთა სამშობლო ახალი წარმატებებით სოციალიზმის მშენებლობაში! ოქტომბრის სახელოვანი წლისთავი აღვნიშნოთ სოციალისტური შეჯიბრების ახალი მძლავრი გაჩაღებით, მთელი ჩვენი მეურნეობისა და კულტურის ახალი დიდი აღმავლობით! მივცეთ ჩვენი მტკიცე საბჭოთა პირობა ამხანაგ სტალინს, რომ ბოლშევიკურად მტკიცედ და ზუსტად შევასრულებთ ჩვენ მიერ ნაკისრ ვალდებულებებს!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას, ლენინ-სტალინის პარტიას — ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის ბელადს დიდ სტალინს!

**მიღებულია კიროვის სახელობის ლენინის ორდენოსანი, წითელი დროშის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ქარხნის, სტალინის სახელობის ლენინის ორდენოსანი მეტალურგიული ქარხნის, ლენინის ორდენოსან და წითელი დროშის ორდენოსან ქარხანა „ბოლშევიკის", ს. მ. კიროვის სახელობის ლენინის ორდენოსან და შრომის წითელი დროშის ორდენოსან ქარხანა „ელექტროსილას", ორჯონიკიძის სახელობის ლენინის ორდენოსანი ბალტიის ქარხნის, ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მანქანათმშენებელი ქარხნის, კარლ მარქსის სახელობის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ქარხნის, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენოსან პოლიგრაფიული მანქანების ქარხანა „ლინოტიპის", ქარხანა „სევკაბელის", ლენინის ორდენოსან ქარხანა „სვეტლანას", ქარხანა „კრასნი ტრეუგოლნიკის", ლენინის ორდენოსან ფაბრიკა „სკოროხოდის", ტელმანის სახელობის წმინდა და ტექნიკური მაუდების კომბინატის, კიროვის სახელობის სართავ-ძაფის კომბინატისა და მიქოიანის სახელობის საკონდიტრო ფაბრიკის მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსების, ოსტატებისა და მოსამსახურეების კრებებზე.**

# ცნობა

### კარელია-ფინეთის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისა კარელია-ფინეთის სსრ უმაღლესი საბჭოს 1947 წლის 16 თებერვლის არჩევნების შედეგების შესახებ

**პეტროზავოდსკი**, 19 თებერვალი. (საქდესი). 120 საოლქო საარჩევნო კომისიისაგან მიღებული ცნობების საფუძველზე, რაც შედგენილია საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების საფუძველზე, კარელია-ფინეთის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოარკვია რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1947 წლის 16 თებერვლის არჩევნების საბოლოო შედეგები.

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რიცხვი შეადგენს 232.705-ს, აქედან კარელია-ფინეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო—232.611 ამომრჩეველმა, ანუ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,96 პროცენტმა.

120-ვე საარჩევნო ოლქში კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 230.879 ამომრჩეველმა, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,26 პროცენტს. დეპუტატობის კანდიდატთა წინააღმდეგ ხმა მისცა 1.723 კაცმა, ანუ კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 0,74 პროცენტმა.

„კარელია-ფინეთის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 79-ე მუხლის საფუძველზე გაუქმებულად ჩათვლილია 9 ბიულეტენი.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა თვითეული საარჩევნო ოლქის მასალები და რეგისტრაციაში გაატარა კარელია-ფინეთის სსრ უმაღლესი საბჭოს 120-ვე საარჩევნო ოლქში არჩეული დეპუტატები.

ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატია.

ქალაქ პეტროზავოდსკის დრევლიანსკის № 1 საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა 100 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში და აქ კარელია-ფინეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ერთსულოვნად არჩეულია ი. ბ. სტალინი.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად აგრეთვე ერთსულოვნად არიან არჩეული:

ვ. მ. მოლოტოვი—ლეპიანიემის საარჩევნო ოლქში,

ა. ა. ჟდანოვი—ქალაქ სორტავალის ცენტრალურ საარჩევნო ოლქში,

ლ. პ. ბერია—ქალაქ პეტროზავოდსკის ჩაპაევის საარჩევნო ოლქში,

კ. ე. ვოროშილოვი—ქალაქ მედვეჟიეგორსკის პირველი მაისის საარჩევნო ოლქში,

ა. ა. ანდრეევი—ქალაქ პეტროზავოდსკის ლოსოსის საარჩევნო ოლქში,

ა. ი. მიქოიანი—სოსნოვეცკის საარჩევნო ოლქში,

ლ. მ. კაგანოვიჩი—უროსოზეროს საარჩევნო ოლქში,

გ. მ. მალენკოვი—კურმალის საარჩევნო ოლქში,

ნ. ს. ხრუშჩოვი—კალინინის საარჩევნო ოლქში,

ნ. მ. შვერნიკი—ვედლოზეროს საარჩევნო ოლქში,

ნ. ა. ვოზნესენსკი—მეიერის საარჩევნო ოლქში,

ნ. ა. ბულგანინი — ველიკოგუბსკის საარჩევნო ოლქში,

ა. ნ. კოსიგინი—ხარლუს საარჩევნო ოლქში.

კარელია-ფინეთის სსრ უმაღლეს საბჭოში არჩეულ დეპუტატთა საერთო სია გამოქვეყნებულია რესპუბლიკურ გაზეთებში.

# ცნობა

### ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისა ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს 1947 წლის 16 თებერვლის არჩევნების შედეგების შესახებ

**ფრუნზე**, 18 თებერვალი. (საქდესი). 1947 წლის 17 თებერვლის საღამოს 8 საათისათვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მიღებულია საოლქო საარჩევნო კომისიების სრული ცნობები ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ, რაც შედგენილია საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების საფუძველზე.

რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რიცხვი შეადგენს 878.922-ს, აქედან ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 878.505 კაცმა, ანუ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,95 პროცენტმა.

298-ვე საარჩევნო ოლქში კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 875.167 ამომრჩეველმა, რაც კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,62 პროცენტს შეადგენს. დეპუტატობის კანდიდატთა წინააღმდეგ ხმა მისცა 3.284 კაცმა, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 0,37 პროცენტს.

„ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 78-ე მუხლის საფუძველზე გაუქმებულად ჩათვლილია 54 ბიულეტენი.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ „ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 37-ე მუხლის საფუძველზე განიხილა თვითეული საარჩევნო ოლქის მასალები და რეგისტრაციაში გაატარა ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს 298-ვე საარჩევნო ოლქში არჩეული დეპუტატები.

ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატია.

# საგაზაფხულო თესვისათვის ყოველმხრივ მომზადება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა

ახალი სტალინური ხუთწლედის პირველ წელს—1946 წელს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და მტს-ებმა უხვი მოსავალი მოიყვანეს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა სახელმწიფო გეგმები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა. მარცვლეულის საერთო მოსავალმა კოლმეურნეობებში 1945 წლის საერთო მოსავალს 50 ათასი ტონით და მეტით გადააჭარბა. თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა მრავალწლიანი ნარგავების—ჩაის, ციტრუსების, ვენახების მოვლა-დამუშავება. ციტრუსოვანთა დამზადებამ პირველად 1946 წელს გადააჭარბა ნახევარ მილიარდ ცალს. დამზადდა 578 მილიონი ციტრუსოვანთა ნაყოფი —თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე 1945 წელს. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. გაიზარდა კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა შემოსავალი. იმატა შრომადღის ღირებულებამ, ამაღლდა კოლმეურნეთა შეძლებულობა, გადიდდა მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 19 სექტემბრის დადგენილებამ „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის ზომების შესახებ". სტალინურ მზრუნველობას კოლმეურნეებმა უპასუხეს ახალი შრომითი აღმავლობით. კოლმეურნე გლეხობა მთელ ქართველ ხალხთან ერთად სერიოზული მიღწევებით ხვდება ბრწყინვალე დღესასწაულს—საბჭოთა საქართველოს XXVI წლისთავს.

მეოთხე სტალინურ ხუთწლედში სოფლის მეურნეობის წინაშე დასახულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებისა და მყარი მოსავლის მიღების ამოცანა. მიმდინარე წლის საგაზაფხულო თესვა მნიშვნელოვანი ეტაპია ამ ამოცანის შესრულების გზაზე. სოფლად ახლა არ არსებობს იმაზე უფრო საპატიო სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანა, ვიდრე საგაზაფხულო თესვისათვის ყოველმხრივ მომზადებული შეხვედრა და მისი მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარება. საკოლმეურნეო სოფლის პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა დარაზმონ კოლმეურნეთა მასები ამ ამოცანის ღირსეულად შესრულებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონები, კოლმეურნეობები, მტს-ები ენერგიულად ემზადებიან თესვისათვის. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება თესვისათვის სანიმუშოდ მოსამზადებლად და მოიპოვეს სერიოზული წარმატებანი. ასე, მაგალითად, ქარელის, წითელქალაქის, გაჩიანის, ბოგდანოვკის, ახალციხის, თბილისის, ქუთაისის, ზესტაფონის, ოჩამჩირის, მახარაძის, ლანჩხუთის, აბაშის, ცხაკაიას პირველმა და გეგეჭკორის მტს-ებმა დაამთავრეს ტრაქტორების რემონტი და მზად არიან მინდვრად გასასვლელად. რესპუბლიკაში მთლიანად არის შესრულებული მარცვლეული კულტურების თესლის გამოყოფის გეგმა. კარტოფილის თესლის გამოყოფის გეგმა შეასრულეს ჩოხატაურის, ქუთაისის, ვანის, ორჯონიკიძის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ქვემო სვანეთის, ქლუხორის, გორის, თიანეთის, ყაზბეგის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, თბილისისა და ბორჩალოს რაიონებმა.

ხვნა-თესვისათვის უკვე მზად არის კოლმეურნეობათა დიდი ნაწილი. მაგალითად, კასპის რაიონის სოფელ ქვემოჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ალ. მაჭარაშვილი) გამგეობამ ბრიგადებს რგოლებსა და ცალკეულ კოლმეურნეებს კონკრეტული დავალება მისცა ხვნა-თესვის დარგში. კოლმეურნეობას წესრიგზე აქვს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანა, თესლეული. მუშა პირუტყვი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე. სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. ი. ქრისტესაშვილი) კარგა ხანია დაამთავრეს საკოლმეურნეო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეკეთება. აქ საკმაო რაოდენობით აქვთ კონდიციური თესლი, მინდვრებში დიდი რაოდენობით გაიტანეს ნაკელი. ასევე კარგად მოემზადა თესვისათვის ქუთაისის რაიონის სოფელ გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლა" (თავმჯდომარე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იონა ფესტვენიძე). ასეთი კოლმეურნეობები მრავლადაა თვითეულ რაიონში.

მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ ხვნა-თესვისათვის მზადების ტემპი და ხარისხი ყველგან არ შეეფერება იმ ამოცანებს, რომლებიც დგანან მიმდინარე წელს სოფლის მეურნეობის წინაშე.

საგაზაფხულო ხვნა-თესვის დროულად ჩატარებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნით მტს-ებს, რომლებიც აღჭურვილი არიან მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით. წელს თვითეული ტრაქტორის დატვირთვა გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე შარშან. მტს-ის დირექტორები და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები ყველგან არ ითვალისწინებენ ამას და უდარდელობას იჩენენ ტრაქტორების რემონტის სამუშაოებისადმი. 10 თებერვლისათვის ტრაქტორების რემონტის საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩებოდნენ ახალსოფლის, გუდაუთის, მცხეთის, ყვარლის, ცხაკაიას მეორე, ლაგოდეხის, დილმის მტს-ები.

რემონტის ხარისხს, აგრეთვე ტრაქტორებისა და სხვა მანქანების შენახვის საქმეს ყველა მტს-ში არ ექცევა ყურადღება. მცხეთის მტს-ში 10 სარემონტო ბრიგადიდან 8 ბრიგადას ტრაქტორები დაშლილი აქვს და რემონტს ატარებს კოლმეურნეობებში ღია ცის ქვეშ. მტს-ის ხელმძღვანელები ბრიგადებს არ უწევენ ყოველდღიურ ტექნიკურ კონტროლსა და დახმარებას. ამიტომ ბრიგადები არ იცავენ შეკეთებული ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტიდან მიღების წესებს. ვანის, სტალინირის, გორის მტს-ებში შეკეთებულად ჩასთვალეს ისეთი ტრაქტორები, რომელთაც მთელი რიგი ნაწილები აკლდათ. ტრაქტორების რემონტის ხარისხისადმი უდარდელობას იჩენენ შინდისის (დირექტორი ამხ. ზვიადაძე), წალკის (დირექტორი ამხ. ომიაძე), ახმეტის (დირექტორი ამხ. კოხრეიძე) და ყვარლის (დირექტორი ამხ. ბარბაქაძე) მტს-ები.

პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა გულდასმით უნდა შეამოწმონ მტს-ებში, პირველ რიგში ჩამორჩენილ მტს-ებში ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანა-იარაღების რემონტის მიმდინარეობა, მიიღონ გადამჭრელი ზომები ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ და რემონტის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სასოფლო-სამეურნეო მანქანების შენახვის გაუმჯობესება თვითეული მტს-ის ამოცანაა.

ნელი ტემპით მიმდინარეობს საკოლმეურნეო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტი რესპუბლიკაში. 10 თებერვლისათვის შეკეთებული იყო 16.736 გუთანი, რესპუბლიკური გეგმის 37,6 პროცენტი. სათესი მანქანების შეკეთების რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია—33,9 პროცენტით, კულტივატორებისა—28,6 პროცენტით. მიწათმოქმედების სამინისტროს ცნობების მიხედვით, 10 თებერვლისათვის არც ერთი ცალი გუთანი არ ჰქონდათ შეკეთებული წყალტუბოს, მაიაკოვსკის, ჩხარის, ჭიათურის, ორჯონიკიძის, ახალქალაქის, ქარელის, წალკის, ყაზბეგის, გურჯაანის, კაჭრეთის, ყვარლის რაიონებს. ბევრგან მოწესრიგებული არ არის საკოლმეურნეო სამჭედლოების მუშაობა. ამის მთავარი მიზეზი კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების დაუდევრობაში უნდა ვეძიოთ.

საჭიროა თვითეული კოლმეურნეობის მიხედვით შევამოწმოთ საკოლმეურნეო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით უზრუნველყოფის მდგომარეობა და სამჭედლოების მუშაობა. სამჭედლოებში უნდა დავამყაროთ სრული წესრიგი, უზრუნველვყოთ ისინი კვალიფიციური კადრებით, ნახშირით, შეშით და საჭირო ხელსაწყოებით. საკოლმეურნეო სამჭედლო მცირე როლს როდი ასრულებს წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის დამზადების საქმეში. ადგილებზე მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინონ თვითეული კოლმეურნეობის გუთნებით, ბარებით, თოხებით და სხვა წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით უზრუნველსაყოფად.

ტრაქტორების შეუფერხებელი მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მტს-ების მიერ საწვავი მასალის დროულად მომარაგებას. ბევრგან ამ საქმის შეუფასებლობას იჩენენ. 10 თებერვლისათვის სრულიად არ გაუტანიათ საწვავი მასალა ქსუისის, ალაზნის, სართიჭალის, მარტყოფის და სხვა მტს-ებს. მტს-ების მიერ ნავთის გატანის პირველი კვარტალის გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 26,8 პროცენტით, ლიგროინისა—16,5 პროცენტით, ბენზინისა—32,4 პროცენტით. ზოგიერთ მტს-ს, რომელიც ძალიან დაშორებულია ნავთის ბაზას, დღემდე არ მიუღია გადამჭრელი ზომები საწვავის მომარაგებისათვის. ასეთია თიანეთის, წალკის, ულიანოვკის, ახმეტის და ყვარლის მტს-ები. თუ ამ მტს-ების ხელმძღვანელმა მუშაკებმა ახლავე არ მიიღეს სასწრაფო ზომები საწვავის მოსამარაგებლად, მათ მოუხდებათ საწვავის ზიდვა მინდვრად გაცხარებული მუშაობის პერიოდში, რაც გამოიწვევს ცოცხალი გამწევი ძალის, ტრანსპორტისა და მუშახელის მოცდენას და ხვნა-თესვის შეფერხებასაც. აუცილებელია მტს-ის ყველა სატრანსპორტო საშუალების მობილიზაცია, აგრეთვე საჭირო რაოდენობის საკოლმეურნეო ტრანსპორტის გამოყენება, რათა უახლოეს დღეებში უზრუნველვყოთ გეგმით გათვალისწინებული საწვავის მომარაგება საგაზაფხულო სამუშაოებისათვის.

კარგი თესლი უხვი მოსავლის საფუძველია. ძირითადად რაიონები თესლით უზრუნველყოფილი არიან. მაგრამ თესლი აკლია ზოგიერთ კოლმეურნეობას. ამ ნაკლის გამოსასწორებლად საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ადგილობრივი რესურსები, მოვაწყოთ კოლმეურნეობათა შორის მარცვლეულის გადაცვლა.

უნდა აღინიშნოს, რომ მარცვლეულის და განსაკუთრებით კარტოფილის თესლის შენახვისა და მოვლის საქმეს ზოგან არ ეკიდებიან სათანადო მზრუნველობით. მაგალითად, ახალციხის რაიონის აწყურის კოლმეურნეობაში 200 ცენტნერი სათესლე კარტოფილი მოთავსებული იყო დაავადებულ და დამპალ კარტოფილთან ერთად. ამავე რაიონის სოფელ ქვემო სხვილისის ორჯონიკიძის სახელობის და სოფელ ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებში სათესლედ შენახული კარტოფილი მოუვლელობის გამო გალპვიდა. სათესლე კარტოფილის ცუდად შენახვის ფაქტებს ადგილი აქვს ბაშკიჩეთის და ზოგიერთი სხვა რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებშიც. კარტოფილის კულტურას ნაკლები ყურადღება ექცევა მის მთესველ ძირითად რაიონებშიც კი. კარტოფილისათვის ნაკვეთებს დროულად არ არჩევენ, მისი თესვისათვის სათანადოდ არ ემზადებიან, სათესლე მასალის ხარისხი დაბალია, ნათესების დამუშავება არადამაკმაყოფილებელია. სწორედ ამის შედეგია კარტოფილის კულტურის შედარებით დაბალი მოსავლიანობა უკანასკნელ წლებში.

# ცნობა

## უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისა უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს 1947 წლის 16 თებერვლის არჩევნების შედეგების შესახებ

**ტაშკენტი,** 18 თებერვალი. (საქდესი). დღეს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა საბოლოო ცნობები უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ. ცნობაში ნათქვამია:

ყველა საუბნო საარჩევნო კომისიისაგან მიღებული ცნობების საფუძველზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რიცხვი შეადგენს 3.267.978-ს. აქედან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 3.267.501 ამომრჩეველმა, რაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,99 პროცენტს შეადგენს.

400-ვე საარჩევნო ოლქში კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 3.262.798 ამომრჩეველმა, ანუ კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,86 პროცენტმა. დეპუტატობის კანდიდატთა წინააღმდეგ ხმა მისცა 4.482 კაცმა, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 0,14 პროცენტს.

საოლქო საარჩევნო კომისიების ცნობებით, რეგისტრირებულია 400-ვე არჩეული დეპუტატი. ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატია.

ქალაქ ტაშკენტის სტალინის საარჩევნო ოლქში უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულია ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი **ი. ბ. სტალინი.**

ქალაქ ტაშკენტის ურიცკის საარჩევნო ოლქში უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულია ამხ. **ვ. მ. მოლოტოვი.**

ქალაქ ტაშკენტის ცენტრალურ საარჩევნო ოლქში არჩეულია ამხ. **ა. ა. ჟდანოვი.**

ქალაქ ტაშკენტის რკინიგზის საარჩევნო ოლქში არჩეულია ამხ. **ლ. მ. კაგანოვიჩი.**

ქალაქ სამარყანდის ლენინის საარჩევნო ოლქში არჩეულია ამხ. **კ. ე. ვოროშილოვი.**

უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების სრული სია გამოქვეყნებულია ადგილობრივ პრესაში.

# ცნობა

## თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისა თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს 1947 წლის 16 თებერვლის არჩევნების შედეგების შესახებ

**აშხაბადი,** 19 თებერვალი. (საქდესი). 1947 წლის 18 თებერვალს დღის 12 საათისათვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საოლქო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებულია სრული ცნობები თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ, რაც შედგენილია საოლქო საარჩევნო კომისიების ოქმების საფუძველზე.

რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რიცხვი შეადგენს 655.114-ს. აქედან თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 654.863 ამომრჩეველმა, ანუ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,96 პროცენტმა.

თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების 234-ვე საარჩევნო ოლქში კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 653.327 ამომრჩეველმა, რაც კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,77 პროცენტს შეადგენს. დეპუტატობის კანდიდატთა წინააღმდეგ ხმა მისცა 1.522 კაცმა, ანუ 0,23 პროცენტმა.

„თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 79-ე მუხლის საფუძველზე გაუქმებულად ჩათვლილია 14 ბიულეტენი.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა თვითეული საარჩევნო ოლქის მასალები და რეგისტრაციაში გაატარა თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს 234-ვე საარჩევნო ოლქში არჩეული დეპუტატები.

ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატია.

თურქმენეთის სსრ უმაღლეს საბჭოში არჩეულ დეპუტატთა შორის არიან:

**ი. ბ. სტალინი**—ქალაქ აშხაბადის სტალინის № 1 საარჩევნო ოლქში.

**ვ. მ. მოლოტოვი**—ქალაქ მარის სტალინის № 90 საარჩევნო ოლქში.

**ლ. პ. ბერია**—ქალაქ ჩარჯოუს მუშათა № 124 საარჩევნო ოლქში.

**ა. ა. ჟდანოვი**—ქალაქ კრასნოვოდსკის სტალინის № 213 საარჩევნო ოლქში.

**კ. ე. ვოროშილოვი**—ქალაქ კერკის სტალინის № 151 საარჩევნო ოლქში.

**ა. ა. ანდრეევი**—ქალაქ ტაშაუზის პირველი მაისის № 267 საარჩევნო ოლქში.

თურქმენეთის სსრ უმაღლეს საბჭოში არჩეულ დეპუტატთა სრული სია გამოქვეყნებულია რესპუბლიკურ გაზეთებში.

საბჭოთა საქართველოს XXVI წლისთავის შესახვედრად

# სოციალისტური შეჯიბრების დროშით

სერიოზული დავალება აქვს მიცემული თბილისის საბჭოს აღმასკომის კუიბიშევის სახელობის ხის დამმუშავებელ მექანიკურ ქარხანას (დირექტორი დ. გორგიაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი შ. გაჩეჩილაძე). 1947 წლის პირველ კვარტალში მან ახალი მშენებლობებისათვის უნდა დაამზადოს 3 ათასი კვადრატული მეტრი საპარკეტე მასალა, აგურის ქარხნებისათვის—12 ათასი ჩარჩო და დიდძალი სხვა პროდუქცია.

ქარხნის კოლექტივი ერთსულოვნად დაირაზმა გეგმის შესრულებისათვის. იგი ჩაება არჩევნებისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და საპარკეტე მასალის დამზადების იანვრის გეგმა 120 პროცენტით შეასრულა — 1.000 კვადრატული მეტრის მასალის ნაცვლად დამზადებულია 1.200 კვადრატული მეტრი. მაღალნაყოფიერად მუშაობს ქარხანა თებერვალშიც. პირველ დეკადაში გამოშვებულია 400 მეტრი საპარკეტე მასალა. საპარკეტე საამქროს ოსტატი ნ. ზვიადაძე, დაზგებზე მომუშავე სტახანოველები ა. ჯანიაშვილი, გ. უჩმაზოვი, ტ. კატასანოვა და სხვები დღიურ დავალებას 150-200 პროცენტით ასრულებენ.

მაღალნაყოფიერად მუშაობს ხის ჩარჩოების დამამზადებელი საამქრო. თვენახევრის მანძილზე დამზადებულია 6 ათასი ჩარჩო. საამქროს ოსტატ დ. მესხის ბრიგადის სტახანოველები ვ. ჯანიაშვილი, ა. ხევსურიშვილი, ო. და ნ. ძებისაშვილები და ლ. სხირტლი გეგმებს ორმაგად ასრულებენ.

საბჭოთა საქართველოს XXVI წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის ქარხნის კოლექტივი იბრძვის თებერვლის საწარმოო დავალების 25 თებერვლამდე შესასრულებლად.

ქარხანას შეუძლია ყოველწლიურად გამოუშვას 2 მილიონი მანეთის ფართო მოხმარების საქონელი. მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა უნდა უზრუნველყოს ქარხნის შეუფერხებელი მომარაგება ნედლეულით.

**ი. ზამბახიძე**

# მოწინავე კოლექტივი

წელს წარმატებით მუშაობს თბილისის ზეთსახდელი ქარხნის მუშათა კოლექტივი. ქარხანას იანვარში გეგმით უნდა გამოეშვა 130 ტონა ზეთი, ფაქტიურად გამოშვებულია 142 ტონა,—გეგმა შესრულებულია 109,8 პროცენტით.

ამ წარმატების მოპოვებას ხელი შეუწყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ. შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად ცალკეული ბრიგადები და სტახანოველები მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ. ხ. ვართაპეტოვის ბრიგადამ იანვრის დავალება 129,4 პროცენტით შეასრულა. დიდი გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს ო. არაქელოვისა და ა. კუდინოვის ბრიგადები. სტახანოველმა ზეინკალმა ს. გელაშვილმა იანვრის გეგმა 250 პროცენტით გაანაღდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXVI წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის ქარხნის კოლექტივმა იკისრა თვიური გეგმის 25 თებერვლისათვის შესრულება. თებერვლის 18 დღეში ქარხანამ გამოუშვა 133 ტონა ზეთი, ორი დეკადის გეგმა 148 პროცენტით შეასრულა.

ნარჩენებიდან ქარხანა დიდი რაოდენობით ამზადებს საქონლის საკვებს—კოპტონს. მარტო იანვარში დამზადებულია 445 ტონა კოპტონი.

**ნ. კვაშაძე**

# მეტი პროდუქციისათვის

ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნებში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა საქართველოს XXVI წლისთავის საუკეთესო მაჩვენებლებით შეხვედრისათვის.

აბრეშუმკომბინატის საამქროებში დიდი საწარმოო აღმავლობაა. სტახანოველი მქსოველი ვ. ტკაბლაძე, რომელმაც იანვრის გეგმა 187,5 პროცენტით შეასრულა, თებერვალში ორასიოსანთა რიგებში ჩადგა და 2 დეკადის დავალება 207 პროცენტით გაანაღდა. იგი ყოველდღიურად 90-100 მეტრ ქსოვილს იძლევა გეგმის გადამეტებით. ასევე თავდადებით მუშაობს მქსელავი ვ. ხვედელიძე, რომელიც დავალებას 150-160 პროცენტით ასრულებს. დაწინაურდა საგრეხ-მოსამზადებელი საამქრო (უფროსი გ. გოდაბრელიძე), რომელმაც თებერვლის 2 დეკადის გეგმა 132 პროცენტით გაანაღდა და გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი.

საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევს ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივი. აქ თებერვლის 2 დეკადის გეგმა 129 პროცენტით შეასრულეს და დაზოგეს 5.000 დეციმეტრი საპირე და საძირე ტყავი. ამ დღეებში ქუთაისელი მეფეხსაცმელეები გაეცნენ ფაბრიკა „პარიზის კომუნის" მუშის მატროსოვის სტახანოვური მუშაობის მეთოდებს, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

**გ. მეფისაშვილი**
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

# ფოთი საზეიმო დღეების წინ

ფოთის მშრომელები ემზადებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXVI წლისთავისა და საბჭოთა არმიის XXIX წლისთავის შესახვედრად. საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში იმართება მოხსენებები და საუბრები თემებზე: „საბჭოთა საქართველოს XXVI წლისთავი", „საქართველო მეოთხე სტალინურ ხუთწლედში", „საბჭოთა არმიის საბრძოლო გზა" და სხვ. პარტკაბინეტში, ბიბლიოთეკასა და კოლხიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოეწყო საბჭოთა საქართველოსა და ჩვენი არმიისადმი მიძღვნილი გამოფენები.

22 თებერვალს ქალაქის თეატრში შესდგება პარტიული, საბჭოთა, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტივის საზეიმო სხდომა.

**ა. წურწუმია**
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

# საწარმოებში კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოიწონა, წარსული წლების მაგალითისამებრ, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს წინადადება 1947 წელს საწარმოთა ადმინისტრაციასა და პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს შორის კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების შესახებ.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას, რომელიც მიმართულია საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისაკენ, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისაკენ, აგრეთვე საწარმოთა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისაკენ, სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანიზაციათა პასუხისმგებლობის გადიდებისაკენ.

ტიპობრივ კოლექტიურ ხელშეკრულებებს ამტკიცებენ პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო და სათანადო სამინისტროები.

საწარმოებში კოლექტიური ხელშეკრულებანი უნდა დაიდოს სამინისტროების მიხედვით დამტკიცებული 1947 წლის სახელმწიფო გეგმების შესაბამისად. კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების წესს დაადგენენ სამინისტროები და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტები პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებული სადირექტივო წერილებით.

ამ სადირექტივო წერილებში გათვალისწინებულ უნდა იქნას:

ა) 1947 წლის სახელმწიფო გეგმის საფუძველზე საწარმოთა მიხედვით დამტკიცებული პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები აბსოლუტური გამოხატულებით ან პროცენტულად წინა წლის სათანადო მაჩვენებლებთან შედარებით, აგრეთვე შრომის ნაყოფიერების, ხელფასის, პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებლები და ასიგნობანი საბინაო-საყოფაცხოვრებო და კულტურული მშენებლობისა და შრომის დაცვისათვის;

ბ) მაჩვენებლები ახალი კადრების მომზადებისა და მუშათა და მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების დარგში;

გ) საწარმოთა მიხედვით დამტკიცებული საგეგმო მაჩვენებლები დამხმარე მეურნეობათა მუშაობის შესახებ, მათ შორის მეცხოველეობისა და მეფრინველეობის გაფართოების დარგში;

დ) მაჩვენებლები ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის გეგმებისა, აგრეთვე ინდივიდუალური მშენებლებისადმი დახმარების რაოდენობა და ფორმები;

ე) მითითება პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისადმი სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებაზე, მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში დახმარების გაწევაზე, შრომის კანონმდებლობის დაცვისა და დამტკიცებული შრომის ანაზღაურების სისტემების სწორად განხორციელების კონტროლზე, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და გაცდენებსა და წუნთან ბრძოლის ღონისძიებებზე.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის საწარმოებში უნდა ჩატარდეს 1947 წლის მარტისა და აპრილის განმავლობაში.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების პროცესში სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანიზაციათა შორის წამოჭრილი უთანხმოება უნდა მოაგვაროს პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ სათანადო სამინისტროებთან ერთად, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც უნდა გადაწყდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა რეგისტრაცია იწარმოებს სათანადო პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტებისა და სამინისტროების მიერ.

(საქდესი).

# ანგარიშგება და არჩევნები სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში

გუშინ დაიწყო და 1 აპრილამდე გაგრძელდება საქართველოს სამომხმარებლო საზოგადოებათა (სოფლის კოოპერატივები, რაიკოოპერატივები) და რაიკავშირების მმართველი და საკონტროლო ორგანოების მორიგი ანგარიშგება-არჩევნები.

თვითეულმა კოოპერაციულმა ორგანიზაციამ წინასწარ შედგენილი გეგმით უნდა ჩაატაროს მეპაიეთა საუბნო კრებები, რომლებზეც მოისმენენ სამომხმარებლო საზოგადოებათა გამგეობებისა და სარევიზიო კომისიების საანგარიშო მოხსენებებს 1946 წლის მუშაობის შესახებ. ამავე კრებებზე განიხილავენ მეპაიეთა განაწესს, აირჩევენ სამომხმარებლო საზოგადოებების (სოფლის კოოპერატივები, რაიკოოპერატივები) რწმუნებულებს, სადუქნო და სასადილო საზოგადოებრივი კონტროლის კომისიებს.

სამომხმარებლო საზოგადოებათა რწმუნებულები განიხილავენ სამომხმარებლო საზოგადოებათა გამგეობებისა და სარევიზიო კომისიების 1946 წლის მუშაობის ანგარიშს, დაამტკიცებენ ბალანსს და აირჩევენ გამგეობებს და სარევიზიო კომისიებს.

რწმუნებულთა სარაიონო კრებებზე განხილულ იქნება რაიკავშირების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშები და აირჩევენ რაიკავშირების გამგეობებსა და სარევიზიო კომისიებს.

რაიკავშირების რწმუნებულთა სარაიონო კრებებზე პირველად იქნება განხილული და დამტკიცებული რაიკავშირების წესდება, რომლის ნიმუში გასული წლის აგვისტოში დაამტკიცა „ცენტროსოიუზმა".

სამომხმარებლო საზოგადოებათა რაიკავშირების გამგეობებისა და სარევიზიო კომისიების არჩევნები ჩატარდება ფარული კენჭისყრით.

ცეკავშირის სისტემის მმართველობის და კონტროლის ორგანოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანია უნდა ჩატარდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 9 ნოემბრის დადგენილების განხორციელებისათვის მუშაობის გაძლიერების ნიშნით.

საჭიროა მტკიცედ მოვკიდოთ ხელი კარტოფილის მოსავლიანობის გადიდების საქმეს. აუცილებელია ამთავითვე შევარჩიოთ საკარტოფილე ნაკვეთები და მივუჩინოთ ბრიგადებს, რგოლებს, ცალკეულ კოლმეურნეებს, მოვაწყოთ რაც შეიძლება მეტი სტახანოვური ჰექტარი, რაც მოსავლიანობის გადიდების მნიშვნელოვანი პირობაა. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, კოლმეურნეობების გამგეობათა ამოცანაა საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში ჩაატარონ კარტოფილის თესვა, ხოლო შემდეგ სისტემატიური ყურადღება მიაქციონ ამ კულტურის მოვლას.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მრავალწლიანი ბალახების თესლის საკმაო რაოდენობით გამოყოფას და მომზადებას. მართალია, შარშანდელთან შედარებით მრავალწლიანი ბალახების თესლის გამოყოფის მხრივ უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას დავმშვიდდეთ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებს მრავალწლიანი ბალახების თესლის გამოყოფის გეგმა შესრულებული აქვთ მხოლოდ 30,5 პროცენტით, ასპინძის რაიონისას—20 პროცენტით, ხაშურისას—8,1, ბორჯომისას—4, გურჯაანისას—1,7, სიღნაღისას—5,4, ახმეტისას—2,9, მცხეთისას—6,7, ყარაიისას—0,9, ბორჩალოს რაიონს—4,1 პროცენტით. ეს ჩამორჩენა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს, ბალახების თესლის გამოყოფის გეგმა აუცილებლად ყველგან შესრულდეს.

სერიოზული მნიშვნელობის საქმეა თესლის გაწმენდა, დახარისხება და შემოწმება. ეს საქმე კარგად მოაწყვეს ქიათურის, ორჯონიკიძის, ონის, ამბროლაურის, ქლუხორის, ბოგდანოვკის, ახალციხის, კასპისა და ბევრმა სხვა რაიონმა. მაგრამ ყველა რაიონზე ეს არ ითქმის. მაგალითად, 15 თებერვლისათვის ახალქალაქის რაიონში თავთავიანი კულტურების 47.105 ცენტნერი თესლიდან მომზადებულია მხოლოდ 13.942 ცენტნერი, წალკის რაიონში 29.116 ცენტნერიდან—824 ცენტნერი. თესლის გაწმენდის საქმეში ასევე ჩამორჩებიან ბოგდანოვკის, ბორჯომის, დუშეთის, სიღნაღის, ახმეტისა და ასპინძის რაიონები. საგარეჯოს რაიონმა გაზაფხულზე 1.680 ცენტნერი ქერი უნდა დასთესოს. 15 თებერვლისათვის აქ გამოყოფილი იყო 1.276 ცენტნერი თესლი, მაგრამ არც ეს გასწმინდეს. სტალინირის რაიონში 2.385 ცენტნერი ხორბლის თესლიდან გაწმენდილია მხოლოდ 373,5 ცენტნერი. ასევე ჩამორჩნენ აქ ქერის, სიმინდის, ლობიოს თესლის მომზადებაშიც.

თესლი მომავალი მოსავლის ოქროს ფონდია. საჭიროა თვითეულმა კოლმეურნეობამ მოაგვაროს მთელი სათესლე მასალის გამოყოფის, გაწმენდისა და შენახვის საქმე. რაიონულმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა კარგად უნდა იცოდნენ როგორ არის თესლის საქმე თვითეულ კოლმეურნეობაში და დროულად განახორციელონ აუცილებელი ღონისძიებანი.

მოსავლიანობის გადიდების მნიშვნელოვანი საშუალებაა ორგანული სასუქის საკმაო რაოდენობით შეტანა ნიადაგში. 10 თებერვლისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მინდვრად გატანილი იყო 709.306 ურემი ნაკელი, გაცილებით მეტი, ვიდრე შარშან ამ რიცხვისათვის იყო გატანილი. მიუხედავად ამისა, ნაკელის გატანის ახლანდელი ტემპი არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. სასუქის მინდვრად გატანის აგროტექნიკური ვადები უკვე იწურება. აუცილებელია ცალკეულ კოლმეურნეობათა მიხედვით და კოლმეურნეობებში ბრიგადებისა და რგოლების მიხედვით დავაწესოთ ნაკელის მინდვრად გატანის ხუთდღიური დავალებანი, გამოვყოთ საკმაო რაოდენობის ტრანსპორტი, მუშახელი, უზრუნველვყოთ ამ სამუშაოს დამთავრება უახლოეს დღეებში.

მუშა პირუტყვის მომზადებას საგაზაფხულოდ ბევრგან ყურადღებას არ აქცევენ. ბაშკიჩეთის, სიღნაღის, ბოლნისის, გორის, ახმეტის, კასპის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობებში პირუტყვი მოუვლელია, დასუსტებული. საქონელი არ არის გამოყოფილი და გადაყვანილი გაძლიერებულ კვებაზე. საჭიროა გუთნისდედების მონაწილეობით სასწრაფოდ მოეწყოს კოლმეურნეობებში მუშა პირუტყვის დათვალიერება. მინდვრად გასვლის წინ უშა პირუტყვი კარგად უნდა დავასვენოთ და გამოვკვებოთ. აუცილებელია მთელი სამუშაო პერიოდისათვის დავჯავშნოთ მუშა საქონლის საკვები და ჩავაბაროთ იგი ბრიგადირებს. ბრიგადირებს ევალებათ ახლავე წესრიგზე მოიყვანონ ღვედები, უღლები, აპეურები, რადგან გაზაფხულზე თვითეული წუთი ძვირი ეღირება.

მოსავლიანობის ამაღლებისათვის განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მორწყვას. სარწყავი სისტემების წესრიგზე მოსაყვანად პარტიის რაიკომებმა და რაისაბჭოების აღმასკომებმა ახლავე უნდა მიიღონ ზომები, მოაწყონ კოლმეურნეთა მასობრივი გასვლა არხების შესაკეთებლად და გასაწმენდად. სარწყავი ქსელის მომზადება რწყვის სეზონისათვის მთელი კოლმეურნე გლეხობის, სოფლის მეურნეობის მუშაკთა გადაუდებელი ამოცანაა.

სერიოზული ჩამორჩენაა ჩაის პლანტაციების საზამთრო დაბარვის საქმეში. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ვაზის გასამხნებლად ნიადაგის მომზადება. ეს დიდი ხარვეზია საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადებაში. წელს ბევრად უკეთესად უნდა მოვუაროთ სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების ნარგავებს, ვაზს, ხეხილს, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ ახალი პლანტაციების გაშენების გეგმა.

ამჟამად კოლმეურნეობებში მიმდინარეობს 1946 წლის მოსავლისა და შემოსავლის საბოლოო განაწილება. ეს დიდი სამუშაოა. ამოცანა ის არის, რომ როგორც ნატურალური, ისე ფულადი შემოსავალი გავანაწილოთ სწორად, სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების თანახმად. შემოსავლის სწორად განაწილება ხელს შეუწყობს საგაზაფხულო სამუშაოების მაღალხარისხოვნად ჩატარებას, წაახალისებს კოლმეურნეებს დაუღალავი შრომისათვის.

ჩვენს რესპუბლიკაში დიდი პოლიტიკური აქტივობით ჩატარდა კოლმეურნეობათა საანგარიშო კრებები, მიძღვნილი 1946 წლის სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგებისადმი. კოლმეურნეებმა წლიური ანგარიშების განხილვისას და დამტკიცებისას გამოამჟღავნეს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევანი და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი მათ აღმოსაფხვრელად, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ განსამტკიცებლად.

მალე დაიწყება კოლმეურნეობებში 1947 წლის საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შედგენა და განხილვა-დამტკიცება. საჭიროა ამ საქმეს მომზადებული შევხვდეთ, რომ გეგმების შედგენა დამთავრდეს საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებამდე. გეგმის შედგენა სერიოზული საქმეა. დიდი სტალინი გვასწავლის:

„კოლმეურნეობა არის მსხვილი მეურნეობა. მაგრამ მსხვილი მეურნეობის გაძღოლა უგეგმოდ არ შეიძლება. მიწათმოქმედებაში მსხვილ მეურნეობას, რომელიც მოიცავს ასეულ, ხოლო ზოგჯერ ათასეულ კომლს, შეიძლება გავუძღვეთ მხოლოდ გეგმიანი ხელმძღვანელობის წესით".

გეგმის შედგენისას აუცილებელია გავითვალისწინოთ აგროტექნიკის შემდგომი დანერგვის ამოცანა. საჭიროა გეგმაში ზუსტად ვუჩვენოთ, თუ როგორ უნდა დამუშავდეს ესა თუ ის ნაკვეთი, რამდენი სასუქი შევიტანოთ, სხვა რა ღონისძიებები განვახორციელოთ, რომ ავამაღლოთ მოსავლიანობა, ახლავე უნდა შევუდგეთ კოლმეურნეთა სიების დაზუსტებას, ბრიგადებისა და რგოლების დაკომპლექტებას, მათთვის ნაკვეთების მიჩენას, სტახანოვური ჰექტარების გამოყოფას, — პირველ რიგში შაქრის ჭარხლის, ჩაის, თამბაქოს, სიმინდის, კარტოფილის კულტურების ხაზით, და გამომუშავების ნორმების შედგენას. რაც უფრო ჩქარა და კარგად გავაკეთებთ ამას, მით უფრო უკეთესია, რადგან ბრიგადა, რგოლი და ცალკე კოლმეურნეები დროულად შეუდგებიან მათთვის მიჩენილ ნაკვეთებზე სასუქის შეტანას, სადაც შეიძლება ხვნასაც კი.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ამოცანა სოფლად ამჟამად ის არის, რომ დავრაზმოთ მშრომელები გაზაფხულისათვის მოსამზადებლად. პარტიული ორგანიზაციები უნდა იყვნენ თესვისათვის მზადების ყველა საქმის კურსში, დაეხმარონ კოლმეურნეობებს, მტს-ებს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ხვნა-თესვას. ეს მოითხოვს კოლმეურნეობებისა და მტს-ებისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერებას. მაღალი მოსავლის მიღება — აი რა განსაზღვრავს, საბოლოო ანგარიშით, პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ხარისხს სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დარგში.

საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის კარგად მომზადების საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა გაჭიანურებული ზამთრის გამო. უნდა გვახსოვდეს, რომ ხვნა-თესვის ჩატარება მოგვიხდება მაქსიმალურად მოკლე ვადებში. ამასთან მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ მთელმა რიგმა რაიონებმა შარშან ვერ შეასრულეს მზრალად ხვნის გეგმა, მათ შორის საგარეჯოს, სიღნაღის, ახმეტის, ყვარლის, თელავის, კაჭრეთისა და გურჯაანის რაიონებმა. თუ ამ რაიონებში თესვა მალე არ მოთავდა, კარგ მოსავალსაც ვერ მივიღებთ.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, მტს-ებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების გადაუდებელი ამოცანაა გაითვალისწინონ მიმდინარე წელს ზამთრის გაჭიანურებასთან დაკავშირებული სიძნელენი და პირველ შესაძლებლობისთანავე შეუდგნენ ცალკეული ნაკვეთების შერჩევით მოხვნას, არ დაელოდონ მთელი ფართობის მომზადებას მუშაობისათვის.

ქალაქ თბილისის ბერიას საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1947 წლის 3 თებერვალს საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა სთქვა:

„ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე განვითარების ფართო პერსპექტივები ისახება. საქართველომ ახლო მომავალში არა თუ ერთიორად და ერთისამად უნდა გაადიდოს უაღრესად ძვირფასი სპეციალური და ტექნიკური კულტურების მოსავალი, არამედ ამასთან ერთად, ბევრად უნდა გაადიდოს მარცვლეულის წარმოება, რათა შეამციროს ჩვენს რესპუბლიკაში პურის შემოტანა, ხოლო შემდგომ მთლიანად უზრუნველჰყოს თავისი თავი საკუთარი პურით. ამ ამოცანის გადასაჭრელად თავდადებით იმუშავებენ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა, სამიწათმოქმედო ორგანოები და მთელი კოლმეურნე გლეხობა".

გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის, სწორად მოვაწყოთ შრომა მინდვრის სამუშაოებზე, კიდევ უფრო განვამტკიცოთ დისციპლინა, ფართოდ დავნერგოთ მოწინავეთა გამოცდილება!

გაზაფხული მოახლოვდა. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს, ქუთაისის, წულუკიძისა და ბოლნისის რაიონების კოლმეურნეებმა გააჩაღეს საგაზაფხულო ხვნა. სულ საქართველოში მოხნულია 4.629 ჰექტარი. საგარეჯოსა და ბოლნისის რაიონებში თესვაც დაიწყო. მალე ქერისა და მზესუმზირას თესვა მასობრივად გაჩაღდება. სწრაფად დავამთავროთ საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზადების ყველა სამუშაო! საკოლმეურნეო სოფლის მთელი ძალები მიმდინარე წლის მაღალი მოსავლისათვის ბრძოლას!

**ს. ჟღენტი**
საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე.

# უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 19 თებერვალი. (საქტასი). უშიშროების საბჭოს გუშინდელ დილის სხდომაზე განიხილეს ინგლისის საჩივარი ალბანეთისადმი კორფუს სრუტეში ინციდენტის გამო. საბჭოს თავმჯდომარემ ... ალბანეთის წარმომადგენელი კაპა, რომელიც 15 თებერვალს ჩამოვიდა ნიუ-იორკში, ადგილი დაეკავებინა საბჭოს მაგიდასთან...

# ეამის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის გამოსვლა უშიშროების საბჭოს კომისიაში

ათენი, 18 თებერვალი. (საქტასი). გუშინ საბერძნეთის ჩრდილოეთ საზღვრებზე შექმნილი სიტუაციის გამომკვლევი უშიშროების საბჭოს კომისიის სადამო სხდომაზე მოუსმინეს საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის (ეამის) ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებს...

# გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და გერმანიის კომუნისტური პარტიის ერთობლივი მუშათა კომიტეტის შექმნა

ბერლინი, 19 თებერვალი. (საქტასი). გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდში" გამოაქვეყნა კომუნიკე გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის გამგეობისა და დასავლეთის ზონებში გერმანიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა თათბირის შესახებ, რომელიც ბერლინში 1947 წლის 14 თებერვალს ...

... ტაქტური მდგომარეობის უდიდესი სერიოზულობა და ხაზი გაუსვა გერმანიის პოლიტიკური და სამეურნეო ერთიანობის აღდგენისათვის ბრძოლის მნიშვნელობას. თათბირმა საჭიროდ მიიჩნია რაც შეიძლება სწრაფად მიღწეულ იქნას გერმანიის ყველა სოციალისტური პარტიის მჭიდრო ერთობლივი მუშაობა და გერმანიის მუშათა მოძრაობის ერთიანობა, მიუხედავად ზონალური საზღვრებისა".

... პარტიის გამგეობა დაეთანხმა ამ წინადადებას".

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის გამგეობის წარმომადგენლებისა და კომუნისტური პარტიის დასავლეთის ყველა ზონის წარმომადგენლებისაგან შედგენილი ერთობლივი მუშათა კომიტეტი ბერლინში შეჰქმნის ცენტრალურ ბიუროს, ხოლო კომუნისტური პარტიის ზონალურ ხელმძღვანელობებთან — კავშირურთიერთობის ბიუროებს.

# პოლონეთის სეიმის სხდომაზე

ვარშავა, 18 თებერვალი. (საქტასი). დღეს შესდგა სეიმის სხდომა. მოსმენილ იქნა სეიმის მიერ სპეციალურად შექმნილი კომისიის წარმომადგენლის იაროშის მოხსენება მცირე კონსტიტუციის, ესე იგი პოლონეთის რესპუბლიკის უმაღლესი ხელისუფლების ორგანიზაციის კანონის შემუშავების შესახებ. სეიმის მუშაობის შესვენების დროს 8-დან 18 ...

... ადმინისტრაცია, კარგი სამსახური გაუწია ხალხს, და ითვალისწინებს სპეციალური ორგანოს — სახელმწიფო საბჭოს შექმნას, რომელსაც მიენიჭება კრაიოვა რადა ნაროდოვას პრეზიდიუმის ფუნქციები. განსახილველად შემოტანილი პროექტი, — ამბობს იაროში, — ერთსულოვნად მოწონებულ იქნა კომისიის წევრების მიერ, გარდა მიკოლაიჩიკის პარტიის — პსლ-ის წარმომადგენლებისა, რომლებმაც მცირე ...

... თავის მუშაობაში ხელმძღვანელობდა სურვილით კონსტიტუციურად განემტკიცებინა უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების ახალი ფორმა, რომელიც ასახავს პოლონეთის დემოკრატიის ძირითად მონაპოვრებს. პროექტმა ანგარიში გაუწია კრაიოვა რადა ნაროდოვას გამოცდილებას, რომელმაც, როგორც სეიმმა და-...

... არ შეეფერება თანამედროვე პოლონეთის სინამდვილის მოთხოვნებს და არ ითვალისწინებს პოლონეთის დემოკრატიის მიერ დაგროვებულ უდიდეს გამოცდილებას. იაროშმა წაიკითხა მცირე კონსტიტუციის პროექტი მასში შეტანილი შესწორებებით, რის შემდეგაც სეიმი გადავიდა მის განხილვაზე.

# ანტიფრანკისტული მიტინგი ლონდონში

ლონდონი, 17 თებერვალი. (საქტასი). გუშინ ლონდონის ერთ-ერთ უდიდეს თეატრში ინტერნაციონალური ბრიგადის წევრთა ასოციაციამ მიტინგი გამართა, რომლის მონაწილეებიც მოუწოდებდნენ მთავრობას — შეწყვიტოს საქონლის ექსპორტი ფრანკისტულ ესპანეთში. მიტინგი მოწვეული იყო მდინარე ხარამასთან მომხდარი ბრძოლის მეათე წლისთავის გამო; ამ ბრძოლაში დაიღუპა ასობით ინგლისელი მოხალისე, რომლებიც რესპუბლიკელთა ...

... პანეთში მაშინ დადგება, როცა ფრანკო და ყოველივე ის, რის წარმომადგენელიც იგი არის, აღმოფხვრილ იქნება ესპანეთის ნიადაგში".

პორნერი შეეხო ინგლისის ეკონომიურ სიძნელეებს და აღნიშნა, რომ იგივე ადამიანები, რომლებიც ფრანკოს ეხმარებოდნენ, პასუხისმგებელი არიან ამჟამად შექმნილი მდგომარეობისათვის. კაპიტალისტებმა შახტებიდან გამორეკეს მაღაროელები შიმშილობის წლებში, ხოლო ამჟამად უკვირთ, თუ რატომ არ ჰყოფნით ...

... ლიც შეეხო ინგლისში ამჟამად წარმოშობილ ქვანახშირის კრიზისს, განაცხადა ტაშის გრიალში: ინგლისელი ხალხი აღშფოთდა იმან, რომ ამ უკანასკნელი ექვსი თვის მანძილზე ფრანკისტულ ესპანეთში გაუგზავნიათ 80 ათასი გირვანქა სტერლინგის ინგლისური ქვანახშირი. „ნულარ დაეხმარებით ფრანკოს და თვითონ ესპანელი ხალხი შესძლებს დაამხოს ეს რეჟიმი, — შესძახა პორნერმა. — ომის დასასრული ეს-...

... ინტერნაციონალური ბრიგადის ინგლისელთა ბატალიონს მეთაურობდა, განაცხადა, რომ ათასობით გერმანელმა სპეციალისტმა პოვა თავშესაფარი ესპანეთში და ასობით გერმანელი მეცნიერი ახლაც ეწევა იქ სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას ატომის ენერგიის დარგში.

# საბერძნეთის დემოკრატიული მოლაშქრეთა განცხადება უშიშროების საბჭოს კომისიისადმი

... და მემარცხენე ლიბერალთა პარტიის წარმომადგენლების სიტყვები.

შრომის გენერალური ფედერაციის წარმომადგენელმა პაპარიგასმა კომისიის წევრებს დაუხატა იმის სურათი, თუ საბერძნეთში როგორ სდევნიან პროფკავშირებს, და მოიყვანა პროფკავშირული მოძრაობის მოღვაწეთა დაპატიმრების, გადასახლებისა და ფარულად მოკვლის მრავალი მაგალითი. პაპარიგასმა გამოაქვეყნა მთელი რიგი დოკუმენტები, საიდანაც სჩანს, რომ ეს ადამიანები, რომლებიც მთავრობას უნდა თავს მოახვიოს პროფკავშირებს როგორც ლიდერები ნაცვლად პროფკავშირთა ყრილობის მიერ კანონიერად არჩეული ხელმძღვანელობისა, წარსულში გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა თანამშრომლები იყვნენ. პაპარიგასმა ჩამოსთვალა მთავრობის მიერ მიღებული მუშათა საწინააღმდეგო კანონები, რომლებიც მოქმედებს, და ხაზი გაუსვა, რომ ახლანდელ რეჟიმის საბერძნეთში არავითარი დასაყრდენი არა აქვს ხალხში. რეაქციული ხროვის ძალაუფლება, სთქვა მან, ბერძენ ხალხს მოახვია უცხოეთის ინტერვენციამ. საბერძნეთში მღელვარების ნამდვილი მიზეზი ის არის, რომ ეს რეაქციული ხროვა ცდილობს მოსპოს საბერძნეთის დემოკრატიის მთელი ცოცხალი ძალები.

... ფიქრობენ, მაგრამ მათი ჯარების აქ ყოფნა ნიშნავს მთელი საბერძნეთის ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვას. პირიქით, მათი წასვლა საბერძნეთიდან თავიდან აგვაცილებდა საბერძნეთსა და მის მეზობლებს შორის კონფლიქტების მიზეზს.

მემარცხენე ლიბერალთა პარტიის წარმომადგენელმა გენერალმა გრიგორიადისმაც განაცხადა, რომ პარტიზანული ბრძოლა, რომელიც მთელ საბერძნეთში სწარმოებს, ბუნებრივი პასუხია იმ მონარქისტული ბანდების ტერორზე, რომლებიც მთავრობასთან თანამშრომლობენ. გრიგორიადისმა განსაკუთრებულ ყურადღება დაუთმო ინგლისელების როლს, რომლებიც, მისი სიტყვით, პასუხისმგებელი არიან ყველაფრისათვის, რაც საბერძნეთში ხდება.

... ქარიკისმა, ნამდვილ სამხედრო სამსახურში არ მოიპოვება ოკუპანტებისადმი წინააღმდეგობის მონაწილე არცერთი ოფიცერი, სამაგიეროდ არმიის რიგებში არიან ოფიცრები, რომლებიც ოკუპანტებთან თანამშრომლობდნენ. ამ ოფიცერთა სია გადაეცა კომისიას. ქარიკისმა წაიკითხა ქალაქ კორინთის „დაცვის ბატალიონის" (დაცვის ბატალიონები ოკუპანტებმა შექმნეს პარტიზანთა წინააღმდეგ საბრძოლველად) მეთაურის კონდოპანოსის წერილი გერმანელთა შტაბისადმი. ამ წერილში კონდოპანოსი აცხადებდა, რომ მან თავისი თავი გადასცა გერმანელთა სრულ განკარგულებაში. შემდეგ ქარიკისმა განაცხადა, რომ ამასწინათ კონდოპანოსს პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა. ქარიკისმა წაიკითხა აგრეთვე პოლკოვნიკ გეროკონსტის პატაკი, თუ როგორ მოქმედებდა იგი გერმანელებთან ერთად პარტიზანების წინააღმდეგ, და შემ-...

... რომ გამოინახოს საბერძნეთის პრობლემის გადაწყვეტა და ამით განმტკიცდეს მშვიდობა საბერძნეთსა და ბალკანეთში.

დასასრულ ქარიკისმა განაცხადა, რომ ეამს საბერძნეთის პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროდ მიაჩნია შემდეგი ღონისძიებანი:

თავიდან საბერძნეთის ტერიტორიაზე უცხოეთის ბაზების არსებობა ან საბერძნეთის ტერიტორიაზე უცხოეთის ჯარების ყოფნა და გავლა და დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნენ საბერძნეთიდან იქ მყოფი უცხოელთა ჯარები;

შეიქმნას მთავრობა იალტის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, რადგან საბერძნეთში ჯერ კიდევ არ დამყარებულა მყუდროება და მშვიდობა და არ შექმნილა ხალხის ნამდვილი ნების გამომხატველი რეჟიმი;

მინიჭებულ იქნას საერთო პოლიტიკური ამნისტია, აღდგენილ იქნას დემოკრატიული წესრიგი და შეიქმნას ნამდვილი ეროვნული პოლიტია და სახელმწიფო აპარატი, რომელსაც უნარი ექნება მიუკერძოებლად უზრუნველყოს ეს წესრიგი; დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქნას ახლანდელი პარლამენტი და მოხდეს დამფუძნებელი კრების თავისუფალი არჩევნები, როგორც კი საბერძნეთში წესრიგი დამყარდება ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა მეოხებით.

# ეგეოსის მაკედონიიდან ლტოლვილთა მიმართვა უშიშროების საბჭოს კომისიისადმი

ბელგრადი, 19 თებერვალი. (საქტასი). პრესის ცნობებით, ეგეოსის მაკედონიიდან ლტოლვილებმა, რომლებმაც იუგოსლავიაში ჰპოვეს თავშესაფარი, საბერძნეთის ჩრდილოეთ საზღვრებზე შექმნილი სიტუაციის გამომკვლევ უშიშროების საბჭოს კომისიას გაუგზავნეს წერილები და დეპეშები, რომლებშიაც აწერილია გარემოება, რამაც ისინი აიძულა დაეტოვებინათ სამშობლო. მრავალრიცხოვან დეპეშებსა და წერილებში მოყვანილია ეგეოსის მაკედონიის მოსახლეობისადმი ბერძენ მონარქისტთა — ფაშისტ ხელისუფალთა სასტიკი ტერორის კონკრეტული ფაქტები.

# საბერძნეთის მთავრობა უარყოფს

ათენი, 18 თებერვალი. (საქტასი). ათენის გაზეთების უმრავლესობამ დღეს გამოაქვეყნა საბერძნეთის მთავრობის შემდეგი უარყოფა: „მთავრობა იუწყება, რომ პოლიციის მეორე კლასის დირექტორ ბაცოსის მოხსენებებში აღნიშნული და პრესაში გამოქვეყნებული მტკიცება, იმის შესახებ, თითქოს სსრ კავშირში დამზადებული იყო თანხა 1 მილიარდი დოლარის რაოდენობით, საიდანაც 500 ათასი დოლარი გაიგზავნა საბერძნეთში პარტიზანული მოძრაობის გასაძლიერებლად; ...

პირველი, იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა სავაჭრო და ეკონომიკური მისიამ საბერძნეთის კომპარტიას გადასცა 300 მილიონი დრაქმა იმ ბანკების მოსაწყობად, რომლებიც გათვალისწინებული იყო გამოეყენებინა კომისიის წევრებთან დასაპალობლად საბერძნეთში მათი ჩამოსვლის მომენტიდან; ...

... უცილებელ ...

მეორედ, ოფიციალურად უარყოფილია ის ხლაპრები, რომლებსაც ბერძნული და სხვა პრესა, ბერძენი პოლიციელის მიხედვით, განსაზღვრული დროის განმავლობაში ადგილს უთმობდა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

### კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

21 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელ ამხანაგებისათვის შესდგება ამხ. მირიანაშვილისა და ამხ. ნოლიანის ლექცია თემაზე: „ი. ბ. სტალინის ნაშრომი „სსრ კავშირში აგრარული პოლიტიკის საკითხებისათვის".

21 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, კომკავშირული აქტივისათვის შესდგება დოცენტ გოცაძის ლექცია თემაზე: „საქართველოს რუსეთთან შეერთება".

### მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

21 თებერვალს, დღის 1 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი პროფესორი დ. არაყიშვილი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „აღმოსავლეთ საქართველოს სავალობელთა მუსიკალური სტრუქტურა".

დასწრება თავისუფალია.

მეუღლე მარიამ, შვილები ლინა, ფისო, დარეჯან, მანანა იუწყებიან რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის კოხტა ყარალაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22/II, 7 ს. ბორჯომის, 20, გამოსვენება 23/II, 2 ს. ხელოვნების მუშაკთა სახლიდან (მაჩაბლის, 1).

თბილისის ბავშვთა საავადმყოფოს თერაპევტული განყოფილების ექიმები იუწყებიან ალექსანდრე ილარიონის-ძე ლოლაძის გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან იოსებ ქავთარაძის გარდაცვალებას.

შვილები სეფე, ეზეკია ოჯახებით, და ბარბალე, ძისწული გიორგი ჩაგელიშვილები, იმათდ გოგრიჭიანი ოჯახით იუწყებიან ნესტორ ოთარის-ძე რეხვიაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 23/II ს. ჭიორაში (ონის რაიონი).

დედა ბერტა, ბაბუა იპოლიტე, ბიძა ტარიელ ქყონიები იუწყებიან პატარა რუსუდანის გარდაცვალებას. პანაშვიდი 22/II, 7 ს. გამოსვენება 23/II, 3 ს. კობის, 21.

შვილები კალისტრატე, პარმენ, ნოე, სერგო, ანეტა ოჯახებით იუწყებიან მართა გრიგოლის ასულ ბალანჩივაძე-რურუას გარდაცვალებას. დაკრძალვა 23/II სოფ. გაუწყინარში (აბაშის რაიონი).

მეუღლე ტერეზა, შვილები გიორგი, ვლადიმერ, ირაკლი, რძლები დორა, თინა, შვილიშვილი მერაბ იუწყებიან ექიმ მიხეილ გიორგის-ძე ვეფხვაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22/II, 7 ს. გამოსვენება 23/II, 2 ს. კალინინის, 3.

მშობლები ანეტა, გაბა, ძმა რაჟდენ, დები ელენე, ვენერა, რძალი თამარ შენგელიები იუწყებიან აპოლონის გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22/II, 7 ს. გამოსვენება 23/II, გოგებაშვილის I შესახვევი, 18.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.81.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.73.24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3.80.83, კულტურის, ცოდნისა და ინფორმაციის—3.80.84, მორიგისა და გამომშვების — 3.81.65, გამომცემლობის — 3.51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70.

ტ. ჰ, ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უშ 00930